სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულება N 36

ხონი

27.07 . 2016 წ.

ერთის მხრივ ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლის " (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია აკობიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ვარლამ რუხაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის ფორმით საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე.

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის საყვავილის, ბადის და კარის საკეტის მოწოდებას.

1.2 მიწოდების ვადა - 2016 წლის 27 ივლისიდან ა/წ 10 აგვისტოს ჩათვლით.

დანაყოფის კოდი : -39298300-10.90- (ათი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარი.

- 39525500- 4.8-(ოთხი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

- 44522000-96-(ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 111.7 (ასთერთმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრუელბის ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

3.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი სხვადასხვა ნივთბის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ– ფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) მიღების საფუძველზე, საქონლის მოწოდებიდან 15 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მიღება–ჩაბარებს წესი

4.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ

5. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ნივთების ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უდავო საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

6.2 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზაღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.7.3 ხელშეკერულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

8.1 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი მხარის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს , იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მაგრამ არანაკლებ მომდევნო კალენარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა.ი.პ. ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლი ხონი, მოსე-ხონელის ქუჩა N 5 საიდენტიფიკაციო კოდ : 244973212 ტელეფონი: 577 627 558; 595 901 844 დირექტორი: მაია აკობიძე	ი/მ ვარლამ რუხაძე ქ.ხონი, ჭანტურიას N5 ს/კ 55001003504 ს/ს სს "ლიბერთი ბანკის" ხონის ფილიალი კოდი:LBRTGE22 ა/ა GE78LB01121417811

12. მხარეთა ხელმოწერები

ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლის

დირექტორი: მაია აკობიძე

ი/მ ვარლამ რუხაძე